

## თავი I

1. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი არის მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ფორუმი. მისი მიზანია მოზარდი თაობის აქტიური ჩართვა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში, ბავშვებში საკუთარი ღირსების დაცვის, სხვისი პიროვნულობისა და განსხვავებული აზრის პატივისცემის, სხვადასხვა ასაკისა და ინტერესების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის და საკუთარი აზრის გამოხატვის სწორი ფორმის, კულტურისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება.
2. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი შედგება გიმნაზიის VII -XII კლასების მოსწავლეების მიერ ერთი სასწავლო წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.
3. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრები აირჩევა კლასებში კონსენსუსის წესით სასწავლო წლის პირველ თვეში. არჩევნებს ატარებს კომისია, რომელიც შედგება კლასის დამრიგებლების და მე-X კლასის მოსწავლეებისაგან. კომისიის თავმჯდომარე აირჩევა მოსწავლეთაგან.
4. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული ჯგუფის პირველი შეკრებისთანავე.
5. ჯგუფის წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლებამოსილებით და ეკისრებათ სტატუსის შესაბამისი პასუხისმგებლობა.
6. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის ყველა საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის, დებულებით წყვეტს ჯგუფი.
7. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებები ატარებს რეკომენდაციულ ხასიათს.
8. დასახული მიზნების განსახორციელებლად მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი ეწევა ახსნა-განმარტებით, საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობას.
9. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ადგილსამყოფელია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის შენობა.

## თავი II

1. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის პირველ სხდომას ხსნის და უძღვება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
2. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი პირველ სხდომაზე ისმენს თავმჯდომარის მოხსენებას არჩევნების შედეგების, არჩევნების მოწყობის სისწორის, შემოსული საჩივრების,

განცხადებებისა და სხვათა შესახებ.

2

3. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი თავისი ფუნქციების განხორციელებას იწყებს მხოლოდ მისი წევრების უფლებამოსილების ცნობისთანავე.
4. ახალარჩეული მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პირველსავე სხდომაზე შეიმუშავებს პერსპექტიულ და მიმდინარე სამუშაო გეგმებს

### თავი III

მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სუბიექტები და მათი უფლებამოსილებანი

#### მუხლი I. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრი

- 1.1. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება წესდებით.
- 1.2. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრი არის მისი საქმიანობის ძირითადი სუბიექტი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე.
- 1.3. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრი შეიძლება გახდეს გიმნაზიის VII-XII კლასის მოსწავლე, რომელიც იზიარებს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის მიზნებს.
- 1.4. თითოეული კლასიდან აირჩევა 3 წევრი.
- 1.5. კლასის მრავალრიცხოვნობის ან სხვა გონივრული მიზეზის არსებობის შემთხვევაში მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებით შესაძლებელია კლასისთვის დამატებით მანდატის მინიჭება.
- 1.6. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფიდან გასვლა ნებაყოფლობითია. წევრობა წყდება მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ბიუროსთვის წერილობითი განცხადების ჩაბარების დღიდან.
- 1.7. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი.
- 1.8. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფიდან გარიცხვის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს ჯგუფის წესდების დარღვევა ან ისეთი ქმედება, რომელიც ჯგუფს აყენებს მორალურ ან ქონებრივ ზარალს.
- 1.9. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრის გამოკლების შემთხვევაში ახალი წევრი აირჩევა იმავე კლასიდან.

2

1.10. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრი უფლებამოსილია:

- ✓ მონაწილეობა მიიღოს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სხდომებში, საქმიანობაში;
- ✓ მიიღოს ინფორმაცია მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ნებისმიერი საქმიანობის შესახებ;
- ✓ მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წინაშე დასვას და განიხილოს ნებისმიერი საკითხი რაც ეხება ჯგუფის საქმიანობას;
- ✓ მოითხოვოს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის თანადგომა დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

1.11. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრი ვალდებულია:

- ✓ შეასრულოს ამ წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- ✓ მონაწილეობა მიიღოს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის საქმიანობაში;
- ✓ შეასრულოს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარის დავალებები.

## **მუხლი II** მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ბიურო და თავმჯდომარე

2.1. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციის მიზნით იქმნება მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ბიურო.

2.2. ბიურო შედგება მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაღალი IX-XII კლასებიდან არჩეული სამი წევრისაგან.

2.3. ბიუროს წევრთაგან მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ აირჩევა ჯგუფის თავმჯდომარე.

2.4. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე უძღვება ჯგუფის სხდომებს და არის ჯგუფის წარმომადგენელი სხვა პირთან ურთიერთობაში.

2.5. ბიურო წესდებით გათვალისწინებული წესით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში:

- ✓ შეიმუშავეს და მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის დასამტკიცებლად წარუდგენს პერსპექტიულ სამუშაო გეგმას, მიმდინარე სამუშაო გეგმებს, სხდომების დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც ამტკიცებს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი;
- ✓ განიხილავს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე გასატან საკითხებს;
- ✓ ხელმძღვანელობს საბჭოს.
- ✓

მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სხდომები

**მუხლი I.** საინიციატივო ჯგუფის სხდომა

- 1.1. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სხდომა ტარდება თვეში ერთხელ. ბიურო უფლებამოსილია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.
- 1.2. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც.
- 1.3. სხდომის თავმჯდომარე ვითხოვლობს დღის წესრიგს, რომელსაც მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი ამტკიცებს დამსწრებთა ხმების უმრავლესობით. შესაძლებელია მოხდეს საკითხთა გადაადგილება.
- 1.4. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე მოხსენება არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, თანამოხსენება 5 წუთს, დასკვნითისიტყვა 4 წუთს.
- 1.5. სხდომის თავმჯდომარე ხსნის და ამთავრებს სხდომას, ადგენს კამათში მონაწილეთა რიგითობას და სიტყვას აძლევს მათ.
- 1.6. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია კონსენსუსის წესით.
- 1.7. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სხდომა შეიძლება იყოს ღია ან დახურული.

**მუხლი II.** ხმის მიცემა

- 2.1. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის უფლების სხვისთვის გადაცემა.
- 2.2. თუ შემოვიდა წინადადება კენჭისყრის გადადების შესახებ, მას პირველ რიგში ეყრება კენჭი.
- 2.3. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე კენჭისყრა არის ღია.
- 2.4. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრი კენჭისყრის დროს თავის ნებას გამოხატავს როგორც მომხრე ან წინააღმდეგი.
- 2.5. განსაკუთრებული საკითხების განხილვისას ხმათა უმრავლესობით შესაძლებელია ფარული კენჭისყრის ჩატარება.
- 2.6. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
- 2.7. კენჭისყრის შედეგს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის მოახსენებს ხმის დამთვლელი კომისია.
- 2.8. ხმის დამთვლელი კომისია შედგება VII-IX კლასებიდან არჩეული ორი წევრისაგან.